]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 4525
11/11/2016

4525-01-4-201611111752

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში
გაცემისათვის პირობებით ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და
გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N318, N319 და N320 განკარგულებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი პირობებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის დანართი №1-ის შესაბამისად /თან ერთვის/.
2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2 -ის შესაბამისად /თან ერთვის/.
3. ელექტრონული აუქციონის პროცესი უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.
4. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.
5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ კონსტანტინე ქავთარაძემ.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი